საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4952/01
18/05/2021

4952-01-2-202105181838

შპს „GLW"-ს

მის: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. #24

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა, თქვენი 2021 წლის 15 აპრილის N6697 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში ტყვია-თუთიის მადნიდან ტყვიის, თუთიის და სხვა თანმდევი მინერალების ამოღების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 216443007, რომლის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში გადამოწმების შედეგად დადგინა, რომ აღნიშნული საიდენტიფიკაციო კოდით რეგისტრირებულია შპს „GLW", ხოლო სკოპინგის განცხადებასა და ანგარიშში მითითებულია შპს „CLW". საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის დასახელება უნდა ემთხვეოდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია საწარმოს განთავსების ტერიტორიის მხოლოდ ერთი (შერჩეული) ალტერნატივა, რომელიც მდებარეობს ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. N 24-ში, ხოლო საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის სხვა ალტერნატივები არ არის განხილული და შედარებული (გარემოსდაცვითი კუთხით) შერჩეულ ალტერნატივასთან. გარდა ამისა, საწარმოს განთავსების ადგილის შერჩეული ალტერნატივა საჭიროებს დასაბუთებას გარემოსდაცვითი კუთხით;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 48) მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს სხვადასხვა პროფილის საწარმოები (მათ შორის მეტალურგიული და ფერომანგანუმის საწარმოები), რომლებიც ახდენენ უარყოფით ზემოქმედებას ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების

შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზშ-ის პროცესში, მათ შორის ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების საკითხი;

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული არ არის მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- სკოპინგის ანგარიშში განხილულია მადნის გამდიდრების სხვადასხვა მეთოდები, თუმცა დაზუსტებული არ არის, კონკრეტულად რომელი მეთოდის გამოყენება მოხდება საწარმოში. სკოპინგის ანგარიშში უნდა იყოს განხილული საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი (ტექნოლოგიური სქემით და თანმიმდევრობით);
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარები, მათ შორის ორი ე.წ „კონცენტრატორი“ (რუსული და ევროპული წარმოების). თუმცა არ არის დაზუსტებული კონკრეტულად რომელი ტიპის და წარმოების კონცენტრატორის გამოყენება მოხდება ტექნოლოგიურ ციკლში (შესაბამისი პარამეტრების მითითებით);
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს კუდსაცავის მოწყობას, რომლის ტერიტორიის საკადასტრო კოდი და GPS კოორდინატები წარმოდგენილი არ არის. გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული კუდსაცავის პარამეტრები და მისი მოწყობის სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია საწარმოში გადასამუშავებელი მადნის მიღების შესახებ, კერძოდ: საიდან მოხდება მადნის მიღება, მადნის მიღების სიხშირე და დასაწყობების პირობები;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია რომ საწარმოში მოხდება წყლის გამოყენება, თუმცა საწარმოო ჩამდინარე წყლების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. ასევე დოკუმენტში განხილული არ არის სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც დაგეგმილია საწარმოს მოწყობა წარმოადგენს შპს „CLW”- ის დამფუძნებლის, თეიმურაზ ლოლაძის საკუთრებას. სკოპინგის ანგარიშში დანართის სახით წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს „Steel Georgia“, ხოლო თეიმურაზ ლოლაძის მიწის ნაკვეთი გადაცემული აქვს იჯარის ხელშეკრულებით. ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიას დაგეგმილი აქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საწარმოს მოწყობა. თუმცა ინფორმაცია თუ რომელი სტანდარტების შესაბამისად მოხდება საწარმოს მოწყობა მითითებული არ არის;
- სკოპინგის ანგარიშში (გვ. 13) მითითებული ინფორმაცია „აკუმულატორების ჯართის და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა“ არ ემთხვევა კომპანიის მიერ დაგეგმილი საქმიანობის დასახელებას;

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების

გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე